ახალი ხარაგაული

394 (2) 11 თებერვალი, 2019 წ.

ნარაგაულის მერმა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს და გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს. შეხვედრამ თითქმის ყველა ადმინისტრაციული ერთეული მოიცვა. მერმა მოისმინა სოფლებში არსებული პრობლემები და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა. ნიკოლოზ თოფურიძის თქმით, ხარაგაულს აღებული აქვს განვითარების საკმაოდ კარგი კურსი და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს. „არასდროს მითქვამს, რომ პრობლემები არ არის და ყველაფერი კარგადაა. არ გავურბივარ პასუხისმგებლობას, რომელიც მაკისრია. მიუხედავად ძალიან ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორებისა, რაც ჩვენ პროექტების შემსრულებელმა მეწარმეებმა შეგვიქმნეს, მინდა, გითხრათ, რომ პროექტი „გზა - ყველა სოფელს“ წარმატებით ხორციელდება. ბოლო ორი წლის განმავლობაში 50-მდე სოფელში მობეტონდა მთავარი გზები. წელს უფრო აქტიურად გაგრძელდება სამშენებლო სამუშაოები და ამას დაემატება პროექტი „წყალი - ყველა სოფელს“. ერთ-ერთი საკითხი, რის გამოც მერის მუშაობა უარყოფითად შეაფასა საკრებულოს დეპუტატთა უმრავლესობამ, გახლავთ გასულ წელს ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაუცემლობა. მინდა, მოსახლეობამ იცოდეს, რომ არსებული პრობლემა გამოწვეული იყო ონკოლოგიური პაციენტების მომართვიანობის გაზრდით, რის გამოც, ვერ გავეცით ერთჯერადი დახმარებები. 2019 წელს სოციალური მიმართულებით თანხები გავზარდეთ და ამ პრობლემის წინაშე აღარ დავდგებით. რაც შეეხება დაუსრულებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომელიც არაერთი მუნიციპალიტეტის პრობლემაა, ამ საკითხზე მიმდინარეობს აქტიური დიალოგი სამხარეო ადმინისტრაციაში, სადაც მუნიციპალიტეტის მერებთან და ინფრასტრუქტურის სამსახურებთან ერთად მონაწილეობენ სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები. ვეძებთ გამოსავალს, რომ პროექტები ვადების დაცვითა და მაღალი ხარისხით შესრულდეს. გპირდებით, რომ მიმდინარე პროექტები უმოკლეს ვადაში დასრულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მეწარმეებს

ხელშეკრულებები შეუწყდებათ. ჩვენ ყოველთვის ღიად ვსაუბრობთ ხელისშემშლელ გარემოებებზე, არსებულ ხარვეზებზე და ვეძებთ გამოსავალს. ჩემი ვალია, მოსახლეობას გავაცნო, რა გავაკეთეთ ერთი წლის განმავლობაში, როგორ იმუშავეს მერიის სამსახურებმა, რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და რას ვგეგმავთ სამომავლოდ.“ - აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

მუნიციპალიტეტის მერმა სამუშაო ანგარიშის წარდგენისას ვრცლად ისაუბრა ხარაგაულის კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაზე, იმ საინტერესო პროექტებზე, რომლებსაც ამ მიმართულებით მერიის სამსახურები ახორციელებენ.

ანგარიშის მოხსენებითი ნაწილის დასრულების შემდეგ შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოსახლეობა, ძირითადად, სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის, სასმელი წყლის და სოციალური დახმარების პრობლემების მოგვარებას ითხოვს. მოქალაქეები კმაყოფილი დარჩნენ მერთან მსგავსი ფორმატით შეხვედრების გამო და სურვილი გამოთქვეს, რომ მომავალშიც გაგრძელდეს ასეთი შეხვედრები, რომელზეც უფრო მეტად ეძლევათ საშუალება, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებს თავიანთი პრობლემები პირადად გააცნონ და არსებულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღონ.

გელაშვილი ნაზი (სოფელი ნადაბური): დღევანდელი შეხვედრა ნამდვილად საინტერესო გახლდათ. ამდენი რამ, რაც ბოლო წლებია სოფელ ნადაბურში კეთდება, არასდროს გაკეთებულა, რისთვისაც მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი მუნიციპალიტეტის დღევანდელ მმართველ გუნდს და ბატონ ნიკოლოზ თოფურიძეს, რომელიც ყოველთვის ყურადღებით უსმენს თითოეულ ჩვენგანს, გვერდით გვიდგას და გვიწევს დახმარებას.

თამაზ გოგოლაძე (სოფელი ვერტყვიჭალა): მივესალმები მერთან შეხვედრის ასეთ ფორმატს. სასიამოვნოა, როცა მუნიციპალიტეტის პირველი პირი თავად მიდის მოსახლეობასთან და აცნობს მოქალაქეებს, რის გაკეთება შეძლო და რა ვერ გააკეთა. დღეს იყო ძალიან გულახდილი საუბარი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს ღირსეული ხელმძღვანელი ჰყავს. ის ყოველთვის ამბობს იმას, რაც სიმართლეა. მადლობა ბატონ ნიკოლოზს, რომ თოთოეული მოქალაქის პრობლემა გულთან მიაქვს.

ელენე მელქაძე(კიცხის ადმინისტაციული ერთეული): დადებითად ვაფასებ მერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშს. სასიამოვნოა, როცა მუნიციპალიტეტის პირველი პირი არა მარტო გაკეთებულ საქმეებზე გვესაუბრება, არამედ გულახდილად საუბრობს პრობლემებზეც. ყველაზე მთავარი გულწრფელობა და სიმართლის თქმაა, ამისთვის მადლობა მას. მერი დაგვპირდა, რომ პროექტები, რომლებიც ვერ დასრულდა ვადებში, უახლოეს პერიოდში დასრულდება, ასევე ვრცლად ისაუბრა ბევრ ახალ საინტერესო პროექტზე, რომელიც იგეგმება მომდევნო წლებში ჩვენს მუნიციპალიტეტში.

ლელა გუგულაშვილი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შერჩევა დაიწყო

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ორწლიანი პაუზის შემდეგ მთავრობამ კვლავ აღადგინა. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები, სოფლის მოსახლეობის უშუალო ჩართულობითა და მათივე გადაწყვეტილებით, მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება. პრობლემების შერჩევის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის აზრს. სწორედ ამ მიზნით ყველა ადმინისტრაციული ერთეულის დასახლებებში იმართება სხდომები, რომლებშიც მოქალაქეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა პროექტის განხორციელება სურთ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საერთო კრებების ჩატარება პირველ თებერვალს დაიწყო და თვის ბოლომდე გაგრძელდება. პირველი საერთო კრება ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა, სადაც წინასწარ წარმოდგენილ იდეებზე, ფარული კენჭისყრით, სოფლის საჭიროებებისათვის საკუთარი ნება ბაზალეთის, ღარიხევის, ქროლისა და წიფის მოსახლეობამ გამოხატა. ბაზალეთსა და ქროლში საუბნო გზებზე გარე განათების ქსელის მოწყობა მოსახლეობის პრიორიტეტია. ღარიხევისა და წიფის მცხოვრებლებმა კი იდეები გააერთიანეს და შეთანხმდნენ, რომ გამოყოფილი 20 ათასი ლარით სასმელი წყლის პრობლემას მოაგვარებენ, შეიძენენ ავზს და საჭირო რაოდენობის მილებს, გააკეთებენ სოფელში გარე განათებასაც და დარჩენილი თანხით რემონტს ჩაუტარებენ სოფლის კლუბს.

საერთო კრებებს ზემოთ აღნიშნულ სოფლებში მერის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე უძღვებოდა. შეხვედრას ესწრებოდნენ მერის წარმომადგენელი ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში თენგიზ ჭიპაშვილი და მაჟორიტარი დეპუტატი ვარლამ ჭიპაშვილი.

4 თებერვალს საერთო კრებები ჩატარდა მოლითის ადმინისტრაციულ ერთეულში. მოლითის, ბეჟათუბნის, ნებოძირისა და ანეულას მოსახლეობას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა, ნიკოლოზ თო-

ფურიძემ, საპროექტო წინადადებების განხილვისა და კრებების ჩატარების პროცედურები პირადად გააცნო. მოქალაქეებს პროექტის მნიშვნელობაზე ესაუბრა და არსებულ შეკითხვებს უპასუხა.

სოფელ მოლითში მოსახლეობამ რამდენიმე იდეა გააერთიანა და მათთვის გამოყოფილი 12 ათასი ლარით სარიტუალო დარბაზის სამზარეულოს რეაბილიტაციისთვის მასალების შეძენა გადაწყვიტა. სოფლის ერთ-ერთ უბანში ასევე მოაწყობენ სანიაღვრე არხს და შეიძენენ წყლის მილებს. სოფელ მოლითის ცენტრიდან ყოფილი რკინიგზის სადგურამდე გააკეთებენ გარე განათების ქსელს. რკინიგზის ბინების მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფლის მოსახლეობის თავშეყრის ადგილისთვის ძელსკამებსა და ბავშვებისთვის საქანელას შეიძენენ. დარჩენილი თანხით სურთ, რომ შეაკეთონ სოფლის წყლის წისქვილის ღარი.

სოფელ ნებოძირის მოსახლეობამ, ხმათა უმრავლესობით, სოფლის სასაფლაოს შემოღობვა, წყლის სისტემის შეკეთება და სოფლის თავშეყრის ადგილის კეთილმოწყობა გადაწყვიტა, რისთვისაც 12 ათასი ლარი დაიხარჯება.

10 – 10 ათასი ლარი გამოეყოთ სოფელ ანეულასა და ბეჟათუბანს, სადაც მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ მთავარი მათთვის სოფლის ცენტრალური გზის შეკეთებაა და ამ იდეას ერთხმად დაუჭირა მხარი.

დეისის მოსახლეობისთვის პრიორიტეტი შიდა საუბნო გზების მოხრეშვა, წყლის სისტემის შეკეთება და სარიტუალო დარბაზისთვის მასალების შეძენაა.

სოფელ ბაბში მოსახლეობის უმრავლესობამ უპირატესობა გზებს მიანიჭა. სასაფლაოს შემოღობვასა და გზების შეკეთების იდეას დაუჭირა მხარი მოსახლეობამ სოფელ ჭარტალში და მათთვის გამოყოფილ 10 ათას ლარს ამ იდეების განხორციელებას მოახმარენ. სოფელ ქვებში მოქალაქეებმა პრიორიტეტად ცენტრალური გზის გასნვრივ მოცურების საწინააღმდეგო ბაგირის გაკეთება, სარიტუალო დარბაზისთვის ინვენტარისა და თავშეყრის ადგილის მოსაწყობად მასალების შეძენა დაასახელა. გაერთიანებული იდეები სოფელ ქვებში 12 ათასი ლარით დაფინანსდება.

მნიშვნელოვანია, რომ სოფლის პროექტების შესარჩევად სოფლის კრებების ჩატარებას სწორედ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა უნდა შეუწყონ ხელი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები, მერის თანაშემწე ლაშა გელაშვილი, საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი თეა ბერიძე, ა(ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული პროექტის მიმდინარეობაში და ყოველდღიურ რეჟიმში ადგილზე ხვდებიან მოსახლეობას.

შეგახსენებთ, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფლის კრებები 28 თებერვალს დასრულდება და აღნიშნული პროგრამის განხორციელება შემდეგ ეტაპზე გადავა.

ლელა გუგულაშვილი

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ეშენებიან კომპანიებთან შეხვედრა გაიმართა

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში მხარის რწმუნებულ-გუბერნატორი შავლეგო ტაბატაძე მერებსა და იმერეთის რეგიონში მომუშავე სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე აღნიშნული შეხვედრის შესახებ ხარაგაულის მოსახლეობას მიმართავს:

„მინდა, დეტალურად განვუმარტო მოსახლეობას, რა სახის შეხვედრა იყო სამხარეო ადმინისტრაციაში. ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ასეთი ფორმატის შეხვედრები და აქტიური დიალოგი მშენებელ კომპანიებთან არის სწორი ფორმა, რომელიც აპრობირებულია მაღალგანვითარებად ქვეყნებში და სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად. ეს უკანასკნელი კი პროექტების ვადების დაცვითა და მაღალი ხარისხით შესრულების საწინდარია. მხარის რწმუნებულმა შავლეგო ტაბატაძემ დეტალურად მოისმინა იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაცია, რასაც ასევე, დეტალურად გაეცნენ მშენებლები.

მხარის რწმუნებულის შეფასებით, ამ მხრივ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კარგი მდგომარეობაა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ჩვენ 15 ინფრასტრუქტურულ პროექტზე, რისთვისაც რეგიონული განვითარების ფონდიდან 3 670 000 ლარი გამოიყო, სამშენებლო ტენდერები უკვე გამოცხადებული გვაქვს. ველოდებით დაფინანსების მეორე ლოტს, რისთვისაც 6 პროექტი უკვე მზადაა და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახური სრული დატვირთვით მუშაობს, რაც შეიძლება მოკლე დროში შეიძინოს დამატებით პროექტები, რათა არ დავკარგოთ დრო და გაზაფხულიდან საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა ხარაგაულში აქტიურ ფაზაში შევიდეს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ასევე 2018 წელს დაუსრულებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რის შესახებაც მხარის გუბერნატორმა მშენებელ კომპანიებს პროექტების მოკლე ვადებში დასრულებისკენ მიუთითა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ხელშეკრულებები შეუწყდებათ.

პირადად მქონდა შეხვედრა ხარაგაულში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებელი კომპანიების წარმომადგენლებთან და მივიღე პირობა, რომ მარტის თვეში მუნიციპალიტეტში ამჟამად მიმდინარე პროექტები დასრულებული იქნება. მთავარი არის ერთი, რომ ორ წელიწადში ჩვენ მივიღეთ 50-ზე მეტ სოფელში მოწესრიგებული ცენტრალური გზა და მინდა, სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ პროექტი „გზა - ყველა სოფელს“ წარმატებით ხორციელდება და ასე გაგრძელდება მომავალშიც,“- ნათქვამია მუნიციპალიტეტის მერის მიმართვაში.

სოციალურ პროგრამებში ცვლილებები განხორციელდა

4 თებერვალს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ სოციალურ პროგრამებში განხორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა. მისივე ინფორმაციით, შშმ პირებს, რომლებიც საჭიროებენ მეთვალყურეს და არ არიან ფულადი შემწეობის მიმღებნი, ყოველთვიურად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30 ლარი ჩაერიცხებათ. გარდა ამისა, 20 ლარი ჩაერიცხებათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დევნილ ოჯახებს. აღსანიშნავია, რომ შშმ პირების დახმარების ახალი პროგრამის ინიციატორი ა/ო „ნაბიჯი ხარაგაულის“ ხელმძღვანელი რუსუდან გურგენიძეა, რომელმაც აღნიშნული პროექტი ბიუჯეტის შედგენისას წარადგინა.

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის განმარტებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან მედიკამენტების შეძენა შაქრიანი დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პაციენტთათვის აღარ გაგრძელდება. ნანა კიკნაძის ინფორმაციით, ამ დაავადების მქონე პაციენტები საჭირო მედიკამენტებს სახელმწიფოს დახმარებით ნახევარ ფასად მიიღებენ.

დეპუტატებმა სოციალურ პროგრამაში წარმოდგენილ ცვლილებებს მხარი დაუჭირეს.

თამარ მაღრაძე

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა მოსახლეობას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა მოსახლეობას გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. შეხვედრა ხარაგაულის კინოთეატრში გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, საკრებულოს წევრები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. დეპუტატმა თავის მოხსენებაში მიმოიხილა ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა განხილვაშიც პარლამენტში აქტიურად ღებულობს მონაწილეობას. პარლამენტარმა ვრცლად ისაუბრა საკონსტიტუციო რეფორმაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახალი კონსტიტუცია უფრო მეტად დაახლოვდა ევროპის კანონმდებლობასთან.

დეპუტატი ძირითადად საქმიანობს რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის, ასევე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტებში. როგორც კობა ლურსმანაშვილი ამბობს, 2018 წლის განმავლობაში პარლამენტმა სულ 705 კანონი მიიღო. ჩატარდა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის 32 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 27 კანონპროექტი და 21 საერთაშორისო ხელშეკრულება. მათ შორის, 11 კანონპროექტის ინიცირება მოხდა მისი თანაავტორობით. რაც შეეხება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს - 33 სხდომა ჩატარდა, რომლებზეც განხილულ იქნა 27 კანონპროექტი და 21 საერთაშორისო ხელშეკრულება.

მაჟორიტარი დეპუტატი ბიუროს საქმიანობასაც შეეხო. როგორც აღინიშნა, 12 თვის განმავლობაში ბიუროს ორგანიზებით მოხდა 1500- მდე ადამიანთან შეხვედრა. გარდა ამისა, მოქალაქეთა პრობლემების გადაჭრის მიზნით, 150 -ზე მეტი წერილი გაიგზავნა სხვადასხვა უწყებაში. კობა ლურსმანაშვილმა ყურადღება ბიუროს ორგანიზებით განხორციელებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებაზეც გაამახვილა. პარლამენტარი აქვე იმ სიკეთეებსაც შეეხო, რომლებითაც მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირები სარგებლობენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთის განვითარებისათვის 2019 წლის ბიუჯეტში 2 მილიონი ლარია ჩადებული. ყურადღება გაამახვილა სკოლების ინფრასტრუქტურაზეც და დასძინა, რომ განათლება და მომავალ თაობაზე ზრუნვა, ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტია. მისივე ინფორმაციით, მიმდინარე წელს იგეგმება კიცხში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ასევე მიმდინარეობს აქტიური საუბრები, რათა მოხდეს დაბის მესამე საჯარო სკოლისა და ავარიულ მდგომარეობაში არსებული სხვა სკოლების რეაბილიტაცია.

„ის სიკეთეები, რომლებიც ცენტრალური ბიუჯეტიდან მოედინება ადგილობრივ თვითმმართველობაში, მაქსიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. ხარაგაულის ბიუჯეტი მიმდინარე წელს 736 400 ლარით გაიზარდა, რაც მისასალმებელია. მაქსიმალურად ვეცდები, მუნიციპალიტეტს გაუჩნდეს საკუთარი შემოსავლები, რითაც შევძლებთ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებას. მე მზად ვარ, წლების განმავლობაში დაგროვილი ჩემი სამუშაო გამოცდილება ხარაგაულს მოვახმარო. მიმაჩნია, რომ ერთობლივი ძალებით ბევრ სიკეთეს შევმატებთ რაიონს. თუ სადმე აუცილებელია, ჩავერიო, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, მზადყოფნას გამოვთქვამ, რათა მოხდეს დაწყებული საქმის ბოლომდე დასრულება და ახალი ინიციატივების წარდგენა.“-აღნიშნა კობა ლურსმანაშვილმა.

მოხსენების შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ხედვებისა და მოსაზრებების გამოხატვის საშუალება მიეცა. სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატებმა იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომლებიც მწვავედ დგას მათს ადმინისტრაციულ ერთეულებში. საკრებულოს წევრებმა სოციალური დახმარების მიღებასთან, სოფლების გაზიფიცირებასა და ბუნებრივი რესურსის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით პარლამენტარს კითხვები დაუსვეს.

თავის გამოსვლაში საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ აღნიშნა, რომ ხარაგაულს ნამდვილად აქტიური მაჟორიტარი ჰყავს და კობა ლურსმანაშვილის გამგებლობის პერიოდში მუნიციპალიტეტში მეტად მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. ქალბატონმა მანანამ ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში გაზიფიცირების აუცილებლობაზე ისაუბრა. ასევე წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ საშეშე და სამასალე ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებით მოსახლეობას დიდი პრობლემები ექმნება.

საღანძილის მაჟორიტარი დეპუტატი დავით კიკნაძე დეცენტრალიზაციის საკითხს შეეხო. მისი თქმით, ადგილობრივ ხელისუფლებას ადგილზე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რათა მოხდეს მოსახლეობისთვის რიგი პრობლემების მოგვარება. მან ყურადღება გაამახვილა სასკოლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, ასევე სოციალური შემწეობის დანიშვნის საკითხებზე.

კობა ლურსმანაშვილის ინფორმაციით, სატყეო დეპარტამენტი იმ ფორმით, რა ფორმითაც იყო, აღარ არსებობს. სატყეოს თანამშრომლები თავად განახორციელებენ ჭრებს და მოახდენენ მის რეალიზებას. რაც შეეხება სამასალე მერქანს, სოციალური ჭრები გათვალისწინებული აღარ არის. თუ ვინმეს სტიქიური უბედურება დაატყდება თავს, ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია, სამასალე მერქანი შეუძინოს. პარლამენტარმა სოციალურ დახმარებაზეც ისაუბრა და დაადასტურა, რომ ამ სფეროში ნამდვილად პრობლემებია. ის მომხრეა, რაც შეიძლება მალე, ეს საკითხი ადგილობრივ თვითმმართველობას გადაეცეს, რადგან სოფელში დეპუტატმა და მერის წარმომადგენელმა უკეთ იციან, ვის უჭირს და ვის ეკუთვნის ფულადი დახმარება.

ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა, რომ ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი ამომრჩევლის წინაშე ამ ფორმატში წარდგა და მოსახლეობას გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში ჩააბარა. ჭიპაშვილმა ყურადღება გაზიფიცირების საკითხზე გაამახვილა და პარლამენტარს დახმარება სთხოვა, რათა მოხდეს ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების გაზიფიცირება. მან ასევე მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა.

„რამდენიმე ხნის წინ საკრებულომ მუნიციპალიტეტის მერის საქმიანობა უარყოფითად შეაფასა. ამის ერთ-ერთი მიზეზი მუნიციპალიტეტში დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები გახლდათ. მერი განმარტავს, რომ პრობლემა შესყიდვების სააგენტოშია და რეგულაციებია შესაცვლელი. თქვენ თუ ხედავთ პრობლემას კანონში და სხვა მუნიციპალიტეტებში სხვა კანონი ხომ არ მოქმედებს? მე, როგორც საკრებულოს წევრს, მინდა, სწორი შეფასება გავაკეთო, მართლა კანონშია პრობლემა, თუ ზოგიერთი თანამდებობის პირი მასზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ვერ ასრულებს?“ - ამ კითხვით მიმართა ვარლამ ჭიპაშვილმა მაჟორიტარ დეპუტატს.

როგორც კობა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, ოპონირების რეჟიმი რომ არ დაირღვეს, ის ამ თემებზე საუბრისაგან თავს შეიკავებს და მხოლოდ მუნიციპალიტეტის მერის თანდასწრებით ისაუბრებს. „ნამდვილად მაინტერესებს მათი ხედვა როგორია და სადაა მაჟორიტარი დეპუტატის ჩართულობა საჭირო. რაც ხდება და რატომ ხდება, მაქვს პასუხები, თუმცა თავს შევიკავებ, ვიდრე მერი უშუალოდ არ დაგვესწრება. რაც შეეხება გაზიფიცირებას, პარლამენტში ვითხოვდით, რომ ამ მიმართულებით სამ მილიონამდე ლარი დახარჯულიყო, მაგრამ, როგორც განგვიმარტეს, სპეციალისტების პრობლემაა და სამუშაოების განხორციელება ჩქარი ტემპით ვერ ხერხდება. ჩვენ ამ საკითხზე, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად მომთხოვნები ვართ და ყველანაირად შევეცდებით, რათა უახლოეს მომავალში მოხდეს სოფლების გაზიფიცირება.“ - განმარტა დეპუტატმა.

დასასრულ, კობა ლურსმანაშვილმა შეკრებილ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და კომპეტენციის ფარგლებში გვერდით დგომა აღუთქვა. მისი თქმით, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმალურად ცდილობს, ყველა კანონიერი გზა გამოიყენოს ადამიანების დასახმარებლად.

შეგახსენებთ, რომ ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა მსგავსი ტიპის შეხვედრა ბაღდათის მუნიპალიტეტშიც გამართა. შეხვედრების ორგანიზატორი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ჟანა ნემსაძეა.

ანგარიშის წარდგენა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერითა და დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა.

ეკა შავიძე

კიცხში ახალი სკოლის მშენებლობა იწყება

2019 წელს საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ბიუჯეტი გასამმაგდა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 22 მუნიციპალიტეტში 27 სკოლის მშენებლობას იწყებს. მათ შორისაა კიცხის საჯარო სკოლა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ავარიულ მდგომარეობაშია. ამ ეტაპზე მუნიციპალური განვითარების ფონდი, ხარაგაულის მერიასა და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად, ტექნიკურ დეტალებსა და საჭირო დოკუმენტაციის მოწესრიგებაზე მუშაობს. ფონდის დირექტორის, გიორგი შენგელაიას, ინფორმაციით, სამშენებლო ტენდერების გამოცხადება თებერვლის თვიდან ეტაპობრივად დაიწყება. მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროს მარინე ვეფხვაძესთან ერთად, სოფელ კიცხში სკოლის მშენებლობისთვის გამოსაყოფი ფართი დაათვალიერა. როგორც ცნობილია, მშენებლობა იმავე სკოლის ტერიტორიაზე იგეგმება. კიცხის საჯარო სკოლაში ამჟამად 90-მდე მოსწავლეა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის ბიუჯეტში 80 მილიონი ლარია გამოყოფილი, რომლითაც დაგეგმილია თბილისსა და რეგიონებში საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სკოლებში უსაფრთხოების სისტემების უზრუნველყოფა.

წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროს მედლები გადაეცათ

მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არაერთ პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა, „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამა“, რომლის მიზანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების წახალისება და წარჩინებულ მოსწავლეთა წარმოჩენა. სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადაეცათ. მედლების გადაცემის ცერემონიას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი მარინე ვეფხვაძე, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი ირინე ჩხეიძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ნიკოლოზ თოფურიძემ ახალგაზრდებს მედლები პირადად გადასცა და მათ მომავალში წარმატებები უსურვა.

2016-2017 სასწავლო წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 19 მედალოსანი ჰყავს, აქედან 14 ოქროს მედალოსანია.

ნინო ლაცაბიძე -დაბის მე-3 საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

ნინო ჭყოიძე- დაბის მე-3 საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

სალომე კვირიკაშვილი- დაბის მე-3 საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

გვანცა ბერაძე - ბორის საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

ლანა ღონღაძე -ბორის საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

ფერიდე ბერაძე- ბორის საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

თინათინ ხიჯაკაძე -ვარძიის საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

კოტე გოგსაძე - ვარძიის საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

ლევან გორგაძე - ხევის საჯარო სკოლა (ოქროს მედალი);

ლაშა ბუხნიკაშვილი -წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ოქროს მედალი);

ანი ბუხნიკაშვილი- წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ოქროს მედალი);

თამარ თხელიძე- წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ოქროს მედალი);

ნინო ოკრიბელაშვილი -წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ოქროს მედალი);

სოფიო შველიძე -წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია(ოქროს მედალი);

ანი აბაშიძე - დაბის მეორე საჯარო სკოლა (ვერცხლის მედალი);

ნათია ტაბატაძე- დაბის მეორე საჯარო სკოლა (ვერცხლის მედალი);

ვარლამ გრიგალაშვილი - ხევის საჯარო სკოლა (ვერცხლის მედალი);

ელენე კამკამიძე- წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ვერცხლის მედალი);

მაგდა თხელიძე -წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია (ვერცხლის მედალი);

შეგახსენებთ, რომ მედალოსან კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმები ეროვნული სასწავლო გეგმით რეგულირდება. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულაა 10, დამრგვალების გარეშე, და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ოქროს მედალოსნის ატესტატს. მოსწავლე, რომლის საშუალო საფეხურის საერთო ქულა არის 9.8 ან მეტი და მიიღებს დადებით შეფასებას სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე, იღებს სრული ზოგადი განათლების ვერცხლის მედალოსნის ატესტატს.

ეკა შავიძე

„ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად...“

მხატვრული სიტყვის დიდოსტატი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა: „ხელოვნება გულის სისხლს მოითხოვს საფასად. თუ მთელი ჯანი არ შეალიე ამ სასტიკ ბომონს, ისე არაფერი გამოგივა ხელიდან“. რასაკვირველია, ეს სიბრძნე ხელოვნების ნებისმიერი სფეროს შესატყვისია.

სწორედ ზემოთ მოხმობილი სიტყვები იყო ჩემი გზამკვლევი, როცა ვნახე ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრის სპექტაკლი, „ინდაური ინდიკოს საახალწლო თავგადასავალი“. ბრწყინვალე რეჟისორული გადაწყვეტითა და მსახიობების საშემსრულებლო ოსტატობით მოხიბლული, სპექტაკლის დასრულების შემდეგ სცენაზე ვეწვიე მათ, მივეფერე და გამოვხატე ჩემი მადლიერება. ღრმად ვრწმუნდებოდი სპექტაკლის მსვლელობისას (როცა მაყურებელთა ემოცია მქუხარე აპლოდისმენტებით ვლინდებოდა პერიოდულად), რომ ეს ყველაფერი იყო შედეგი რუდუნებითი შრომისა, მაყურებლის წინაშე დიდი პასუხისმგებლობისა და საქმის უსაზღვრო სიყვარულისა. ისიც ვიცოდი, რომ სპექტაკლზე მუშაობის პერიოდში, რეჟისორს, ქალბატონ ირინე ჩხეიძეს, ჯანმრთელობის პრობლემაც ჰქონდა.

„- თქვენ სწორად ბრძანეთ - ამბობს რეჟისორი- მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პრობლემა შემიქმნა ჯანმრთელობამ, უფრო და უფრო მიძლიერდებოდა სწრაფვა, რათა დათქმული პირობისათვის არ მეღალატა და ზამთრის არდადეგების დამთავრებისთანავე გამემართა აღნიშნული სპექტაკლი. ასევე ძლიერი იყო დასის ყველა ნევრისა და თეატრის თითოეული თანამშრომლის ინტერესი. ამიტომ იყო, რომ რეპეტიციებს ხშირად ჩემს ბინაში ვატარებდი. მინდოდა, სპექტაკლი დატვირთული ყოფილიყო მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომრებით, წინ წამომეწია ყველაფერი ის, რომლითაც მეტ სიხარულს მივანიჭებდით მაყურებელს და გავაძლიერებდით მის სულში სიკეთისა და სიყვარულის ჟამშეუვალ გრძნობებს. თუ როგორ შევძელით ეს, ამას მაყურებელი განსჯის და სპექტაკლის სამომავლო „სიცოცხლე“ განსაზღვრავს...“

***

ვფიქრობ, სცენარის ავტორმა (დრამატურგი ირაკლი სამსონაძე) ძალზე საინტერესო და იმავდროულად სიმბოლური დატვირთვა მისცა ყოველ ეპიზოდს. გარკვეულწილად ხაზი გაუსვა ტრადიციების ერთგულებას, მაგრამ აშკარად გამოკვეთა, რომ ტრადიციები აუცილებლად უნდა შევუსაბამოთ გააზრებულად, გარკვეული ნიუანსების გათვალისწინებით, თანამედროვეობას, მიმდინარე სიახლეებს.

ინდაური ინდიკო (დავით ჭყოიძე) საჩუქრებით სავსე ხურჯინს ჰპარავს თოვლის პაპას (ნიკოლოზ წიკლაური). ინდიკოს სურვილია, რომ თვითონ გახდეს თოვლის პაპა, მაგრამ საქმეში ჩაერევიან ქართული ზღაპრის გმირები: თოვლის ბებო ბაბალე (ლუიზა კიკნაძე), კომბლე (გიორგი ჭიპაშვილი), ცხვარი (მაია ბერაძე), მელია კუდაგრძელია (ლია ჭიპაშვილი), მგელი (ვასილ კიკნაძე), ნაცარქექია (გიორგი მაქაძე), დევი (ბექა ხიჯაკაძე) და ყველაფერი კარგად მთავრდება...

რასაკვირველია, მნიშვნელოვანი და საინტერესოა სცენარი, რეჟისორული ხედვა, მაგრამ უმთავრესია, თუ როგორ გაითავისებს, როგორ მიიტანს მაყურებლამდე რეჟისორის ჩანაფიქრს მსახიობი. თითოეული როლის შემსრულებელი მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მართლაც ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით გაართვეს თავი ამ მისიას.

აბა რომელი ერთი გინდა, გამოარჩიო ან „მამათა“ თაობიდან (ლუიზა კიკნაძე, ნიკოლოზ წიკლაური) ან „შვილებიდან“. ყველა ისინი ინდიკოსთან ერთად ნამდვილად არიან მაყურებელთათვის „ციდან მოვლენილი საჩუქრები“.

ის, რომ უკვე ოთხჯერ გაიმართა ანშლაგით სპექტაკლი და კვლავ ბევრი მსურველი გულდაწყვეტილი, უბილეთოდ გაბრუნდა თეატრის სალაროდან, მეტყველებს, რა რეზონანსი აქვს სპექტაკლს. ამ გამარჯვებას თანაბრად ინაწილებენ: მხატვარი გაიოზ შუბითიძე, ხმის ოპერატორი დავით კვირიკაშვილი. განათებას უზრუნველყოფდა ირაკლი შარიქაძე, ტექნიკურ მხარეს- ბათუ კიკნაძე,ზაზა ტაბატაძე, ავთო კვირიკაშვილი. ძალზე ორიგინალური, როლებისათვის შესატყვისი იყო გრიმიორ ლიკა თაბუკაშვილის ოსტატობა.

მუსიკალური ჩანართები რომ გვიძლიერებდა სასიამოვნო განცდებს, ეს რეჟისორ ირინე ჩხეიძის ხელწერაა.

სპექტაკლის მთავარი შემფასებელი მაინც მაყურებელია და სწორედ მათს შთაბეჭდილებებს გაგაცნობთ: იუზა (ვალოდა) კელენჯერიძე - საკრებულოს დეპუტატი, ფრაქცია „ ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე:

-განა არსებობს მასზე მეტი სიკეთე, რომ შენი საქმით მიზნად ისახავდე, მიანიჭო ადამიანებს ბედნიერება, სიხარული და დროებით გამოსტაცო იგი ყოველდღიურ ფიქრ-საზრუნავს, ათასგვარ პრობლემას, რომელსაც გვთავაზობს ცხოვრება. პირადად ჩემთვის ასეთია ზემოქმედების ძალა სპექტაკლისა „ინდაურ ინდიკოს საახალწლო თავგადასავალი“. ჩემს სიამოვნებას აძლიერებდა ისიც, რომ თან მახლდნენ ჩემი პატარა მეგობრები, ვაჩე და ლუკა ოქრომჭედლიძეები, რომლებსაც ძალიან მოეწონათ სპექტაკლი, წარამარა მისვამდნენ შეკითხვებს მის ირგვლივ და ხარობდნენ, როცა ჩემი პასუხი აკმაყოფილებდათ.

მარინე ხვედელიძე, მესამე საჯარო სკოლის დირექტორი: - სპექტაკლით მოხიბლული და აღფრთოვანებული ვარ. ხარაგაულში კულტურული ყოფის დიდი ტრადიციები გრძელდება. თეატრში მაღალი პროფესიონალიზმია, სადაც ერთმანეთს სრულყოფილად ერწყმის პლასტიკა, გრაცია, ჟესტ-მიმიკები, გამომსახველობა, იდეურ-შინაარსობრივი მხარე. ყველაფერი გენიალური მარტივია და, აქედან გამომდინარე, სცენარში რომ ჩადო ეპოქის შესატყვისი ამხელა სიბრძნე, ეს დიდი ნიჭიერებაა. მადლობა რეჟისორსა და მთელ დასს. სცენიდან კიდევ ერთხელ მოგვხიბლეს შეუდარებელმა ხარაგაულელებმა.

ზესტაფონის მე-5 საჯარო სკოლის მეცხრეკლასელი ნინო შალამბერიძე ამბობს, რომ აღაფრთოვანა სპექტაკლმა. ამის შესახებ უამბო და ემოციების საბურველში გაჰხვია თანაკლასელები. ნატრობენ, ნეტავ ზესტაფონის თეატრში აჩვენონ „ინდაური ინდიკოს საახალწლო თავგადასავალი“ და გაგვახარონ ზესტაფონლები.

ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიის მესამეკლასელმა, გიორგი ლომსაძემ, ოთხჯერ გამართულ სპექტაკლს ოთხჯერვე უყურა.

-ერთსაც არ გამოვტოვებ, რამდენჯერაც გაიმართება მომავალში ეს სპექტაკლი, იმდენჯერ ვიქნები მისი მაყურებელი. - აცხადებს გიორგი.

ნიჭიერო თეატრალებო!

ყველა მაყურებლის სახელით მინდა, ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის „გულის სისხლის“ უშურველად ხარჯვა და იმ გზებით აღმასვლა გისურვოთ, რასაც ხარაგაულელობა და ხარაგაულელთა სიყვარული ჰქვია!

მერი გიორგიძე

ვულოცავ ხარგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულ თეატრს 25 წლის იუბილეს

დიდი და საქვეყნო საქმეების მკეთებელ თეატრს დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა. მსურს, თეატრის დამაარსებელსა და ხელმძღვანელზე საზოგადოებას საიუბილეოდ ჩემი მოსაზრება გავაცნო. დადგება დრო (რაც უფრო ადრე, მით უკეთესი), როცა მეცნიერულად დაიწყება ქ-ნ იზა ვეფხვაძის ფენომენის შესწავლა. მასზე საუბრისას მხოლოდ არაჩვეულებრივ მეხსიერებაზე ყურადღების გამახვილება, საკითხის გაუბრალოებაა. ჩვენში განა არ არიან ისეთები, რომელთაც მთელი „ვეფხისტყაოსანი“ იციან ზეპირად და ძალიანაც კარგი, მაგრამ ეს მხოლოდ ტრადიციაა და ამ უნარით დაჯილდოებულებს სულაც არ აქვთ პრეტენზია „ვეფხისტყაოსნის“ ,როგორც პოემის, პროფესიულ შესწავლა- გაანალიზებაზე. ვიმეორებ, ისინი მხოლოდ აგრძელებენ კეთილშობილურ ტრადიციას და მათ დიდი მადლობა ამისათვის...

ქ-ნ იზას ფენომენი სხვას გულისხმობს, უფრო მაღალ მწვერვალებს, საიდანაც შესაძლებელია ადამიანის სულის მოძრაობის უხილავი სიმების ჭვრეტა და განსჯა პოეზიის რაობაზე. მხოლოდ ასე თუ შევაღწევთ იმ სამყაროში, რომელსაც ხან დიმიტრი ყიფიანი ჰქვია, ხან - რეზო თაბუკაშვილი, ხან- გოდერძი ჩოხელი და ხან - მერაბ კოსტავა... ნამდვილი ღვთის წყალობაა, რომ მთელი ეს ღრმად ნაბრევი და საამოდ მოთხრობილი სცენიდან, ბოლოს წიგნების სახით გამოდის და ყველას გვაქვს საშუალება, მხოლოდ იზა ვეფხვაძის თეატრში კი არა, სადაც ის, უბრალოდ, შეუდარებელია, არამედ შემდგომაც, როცა მარტო ხარ და გადაშლი ენციკლოპედიური პანორამის ამ სასწაულ კადრებს, გაქვს საშუალება, ცივ გონებაზე განსაჯო, რამოდენა და როგორი კვალიფიციური შრომაა აქ ჩადებული, რა მხატვრულ-მეცნიერული გაქანებით და იმსჭვალები ამ მშვენიერი ქალბატონის მიმართ მადლიერების უნაზესი გრძნობით.

ისიც გჯერა, რომ ერთ მშვენიერ დღეს დაიმსხვრევა ხელოვნური ბარიერი და ქ-ნ იზა ვეფხვაძეს ესოდენ ხანგრძლივი და ფრიად ნაყოფიერი შემოქმედებით-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიენიჭება ისეთი სამეცნიერო წოდება, რომელიც არც ერთ დღევანდელ უმაღლეს სასწავლებელს არ აქვს გათვალისწინებული. დიახ, მჭევრმეტყველების დოქტორის საპატიო ხარისხს ვგულისხმობ და ამით სულაც არ ვდებ თავს ვანგას მიმდევრად - ლოგიკას მივყავარ ამ დასკვნამდე, ლოგიკას, რომელსაც სკოლაში აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის შვილი, ბატონი გელა, მასწავლიდა, უმაღლესში კი - თვით ბატონი ანგია, ესოდენ გამორჩეული აკადემიკოსი და მჭევრმეტყველი.

გოგი დოლიძე,

პროფესორი, კინომცოდნე, კინოკრიტიკოსი, კინორეჟისორი, ქალუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ხელმძღვანელი.

ვირუსის დროულ და სწორ მკურნალობას შეუძლია, ლეტალური შედეგი თავიდან აგვაცილოს

ზამთრის სეზონთან ერთად აქტუალური ხდება გრიპის ვირუსის საკითხი. ვირუსი საგრძნობლად მოქმედებს ადამიანის იმუნურ სისტემაზე და, უყურადღებობის შემთხვევაში, შესაძლოა, პაციენტის ლეტალობა გამოიწვიოს.

გასული წლიდან საკმაოდ გავრცელებულია H1N1 ვირუსი ე.წ. „ღორის გრიპი“ და ვირუსული დაავადება წითელა. ორივე შემთხვევის პრევენციის მიზნით, პიროვნებას შესაძლებლობა აქვს, ჩაიტაროს ვაქცინაცია.

რა სიმპტომები აქვს H1N1 ვირუსსა და წითელას? როგორია მათი გავრცელების გზები? როგორ დავიცვათ თავი დაინფიცირებისაგან? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე გვესაუბრება.

-„ღორის გრიპი“ A ტიპის ვირუსია, რომელსაც სამედიცინო ენაზე H1N1 ჰქვია. გრიპი იწყება მოულოდნელად, მაღალი ტემპერატურით (39 გრადუსი და ზევით), უმთავრესად თან ახლავს ინტოქსიკაციის მოვლენები, რაც გამოიხატება თავის, კუნთების, სახსრების ტკივილითა და ხველით. პაციენტს ასევე აღენიშნება ციებ-ცხელება და ტკივილი მკერდის არეში. შედარებით იშვიათად ერთვის ყელის ტკივილი და ცხვირის გაჭედვის შეგრძნება. თუ პაციენტს აქვს რაიმე სახის ქრონიკული დაავადება, ამ ფონზე მეტად რთულად მიმდინარეობს და შესაძლოა, ლეტალურად დასრულდეს. ამიტომ, თუ ზემოთ ხსნებული სიმპტომები გამოესახება პიროვნებას, აუცილებელია, მიმართოს ოჯახის ექიმს. „ღორის გრიპის“ ადგილზე დადგენა ვერ ხერხდება, მას სისხლის ანალიზის საფუძველზე ლაბორატორიულად იკვლევენ და საბოლოო დიაგნოზი სწორედ ამის შემდგომ ისმება. თუმცა, მაღალი ტემპერატურის, ციებ-ცხელებისა და მკერდის არეში ტკივილის დროს, უკვე იწყება ის მკურნალობა, რაც საჭიროა „ღორის გრიპის“ შემთხვევაში.

- დაფიქსირდა თუ არა ხარაგაულში H1N1 ვირუსი და როგორ გაიცემა პრეპარატი ტამიფლუ?

- ხარაგაულში ამ ეტაპზე H1N1 ვირუსი არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება ტამიფლუს, ჩვენ გვაქვს ეს პრეპარატი და იგი უფასოდ, ფორმა 100-ის საფუძველზე, გაიცემა. ამ ეტაპისათვის სულ გაცემულია ორასზე მეტი აბი. აქვე მოგახსენებთ, რომ პრეპარატს არ აღენიშნება გვერდითი მოვლენები და რეკომენდებულია ორსულობის პერიოდშიც.

- რამდენიმე თვის წინ, თქვენი სამსახურის ორგანიზებით, გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩატარდა. რამდენად ეფექტურია იგი H1N1 ვირუსთან გასამკლავებლად?

- აღსანიშნავია, რომ ეს ვაქცინა უფასოა და საკმაოდ ეფექტურია, პიროვნებას იცავს გრიპისა და მისი შემდგომი გართულებებისაგან. ვაქცინას არ აქვს მკვეთრად გამოხატული უკუჩვენება და მისი გაკეთება შესაძლებელია ორსულობის პერიოდშიც ექიმის რეკომენდაციით.

- როგორ ვებრძოლოთ H1N1 ვირუსს და როგორ დავიცვათ თავი მისგან. რისი გაკეთებაა შესაძლებელი პრევენციის მიზნით?

- თავდაცვა შეგვიძლია დეზინფექციით, ხელების ხშირი დაბანით, სპირტით დამუშავებითა და სამედიცინო ნიღბით. ვირუსი გადამდებია აირწვეთოვანი გზით. უმთავრესი კი პირადი ჰიგიენა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მორიდებაა. ერთ-ერთი პრევენცია კი არის ვაქცინაცია.

- ქვეყანაში ასევე გავრცელებულია ვირუსული დაავადება წითელას სახელწოდებით. რა არის წითელა და როგორია მისი კლინიკური გამოვლინება?

- წითელა არის ვირუსული დაავადება, რომელიც იწყება ტემპერატურის მომატებით, სურდოთი, ხველებით, თვალების წვითა და ტკივილით. ეს სიმპტომები, ძირითადად, 3-4 დღე გრძელდება, შემდეგ იწყება უკვე გამონაყარი. წითელასთვის დამახასიათებელი გამონაყარი იწყება სახიდან, კერძოდ, შუბლის არედან, შემდეგ კი ეტაპობრივად ვრცელდება სხეულის ქვედა ნაწილებში. გამოყრის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე დღის განმავლობაში. დაავადება კლინიკურად ერთნაირად ვლინდება დიდებშიც და პატარებშიც.

- რამდენ ხანს გრძელდება წითელას საინკუბაციო პერიოდი და როგორია მისი გავრცელების გზები?

- წითელას საინკუბაციო პერიოდი აქვს 7-8 დღე, რომელიც, შესაძლოა, გაგრძელდეს 21 დღემდე. საინკუბაციო და კლინიკურად გამომჟღავნების პერიოდში არის ვირუსის გადადების საშიშროება. წითელა, ისევე როგორც სხვა ვირუსული ინფექცია, გადაიცემა აირწვეთოვანი გზით. რაც შეეხება მის გართულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც იწყება ანთებითი პროცესები, მიმდინარეობს ანტიბიოტიკოთერაპია.

- რამდენად ხელმისაწვდომია ხარაგაულში წითელას უფასო ვაქცინა და რამდენად რეკომენდებულია იგი ორსულობის დროს?

- წითელას ვაქცინას არ აქვს მკვეთრად გამოხატული უკუჩვენება. აღსანიშნავია, რომ ვაქცინის გაკეთება არ შეიძლება ორსულობისა და ძუძუთი კვების პერიოდში. საყურადღებოა, რომ ვაქცინაგაკეთებული მანდილოსნისათვის ოთხი თვე ორსულობა არაა მიზანშეწონილი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მუნიციპალიტეტში შეიქმნა წითელას ეპიდაფეთქების მართვის საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ჩემთან ერთად იქნებიან: თემურ ჩხეიძე, ლაშა ელბაქიძე, მამუკა ჭიპაშვილი, ლია ფცქიალაძე და მარინე ვეფხვაძე. ამ ჯგუფის შექმნის მიზანია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დადგინდეს აცრაგამოტოვებული კონტინგენტის რაოდენობა 1-დან 19 წლის ჩათვლით და მათ ჩაუტარდეთ წითელა-წითურა-ყბაყურას (წწყ) საწინააღმდეგო აცრები. ამავე დროს წითელა-წითურა-ყბაყურას აცრების ჩატარება სავალდებულოა 20-დან 40 წლის კონტინგენტისათვის.

ჩვენი სამსახურის მიერ გასულ წელსაც მოხდა წითელაზე არაგეგმიური აცრები, რომელიც 719 ადამიანს ჩაუტარდა. მათ, ვისაც გასულ წელს არ აქვს ეს აცრა გაკეთებული, სავალდებულოა, ჩაიტარონ.

თამარ მაღრაძე

დეპუტატები მუნიციპალიტეტში დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევას ითხოვენ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციები „თვითმმართველობა ხალხისთვის“ და „ძალა ერთობაშია“ დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევას ითხოვენ. ამის შესახებ მათ წერილობით საკრებულოს თავმჯდომარეს უკვე მიმართეს. საკითხის შესახებ დეპუტატებმა 4 თებერვალს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს. როგორც თორნიკე ავალიშვილი აცხადებს, აუცილებელია აუდიტის მიერ შემოწმდეს მერიის სამწლიანი მუშაობა. მისივე ინფორმაციით, დამოუკიდებელ აუდიტს შეუძლია, იმ კონკრეტულ მიმართულებებზე გაამახვილოს ყურადღება, რომლებზეც მოთხოვნა იქნება და დეპუტატების ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

„2019 წლის 8 იანვარს საკრებულომ მოისმინა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელიც უმრავლესობამ უარყოფითად შეაფასა. საკრებულოს წევრებმა დაასახელეს პრობლემები, რომლებიც, მათი მოსაზრებით, მუნიციპალიტეტში მერიის გაუმართავი მუშაობის შედეგადაა. კერძოდ: შეუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა, ჩაშლილი ტენდერები, სოციალური პროგრამის განხორციელება, არამიზნობრივად დახარჯული საბიუჯეტო სახსრები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტში 3 წლის განმავლობაში არ განხორციელებულა აუდიტორული შემოწმება, რაც, როგორც საკრებულოს წევრებს, ასევე საზოგადოებას მისცემდა შესაძლებლობას, კვალიფიციური დასკვნის შედეგად, აღმასრულებელი ორგანოსა და მისი ხელმძღვანელი პირის საქმიანობის ობიექტური შეფასება მოეხდინა.“-აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ: თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, დავით მაღლაფერიძე, ინგა მაღრაძე, აკაკი მაჭავარიანი და მიხეილ ჭიპაშვილი.

წარმოდგენილ საკითხს დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს. როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძემ აღნიშნა, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მერიაში დაგეგმილია სახელმწიფო აუდიტის შემოსვლა და, აქედან გამომდინარე, დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის აუცილებლობა ამ ეტაპზე არაა.

შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევისათვის თორმეტი დეპუტატის ხელმოწერაა საჭირო.

იმერეთის რეგიონში ა(ა)იპ „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია“ ფუძნდება

იმერეთში დანიშნულების მართვის ორგანიზაციის (DMO) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია“ ფუძნდება. დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად და გაწევრიანების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიისათვის თანხმობის მიცემის შესახებ საკრებულოს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა მიმართა.

გოლუბიანის ინფორმაციით, ა(ა)იპ-ის დაფუძნებაში იმერეთის თორმეტივე მუნიციპალიტეტი მონაწილეობს. მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის წევრობა ნებისმიერ იურიდიულ და კერძო პირს შეუძლია. ა(ა)იპ-ის წევრობა ანაზღაურებადი არაა. ორგანიზაცია ორი წლის ვადით ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მიერ დაკომპლექტდება.

ა(ა)იპ „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციაში“ გასაწევრიანებლად მუნიციპალიტეტმა, დაახლოებით, 9 – 10 ათასი ლარი უნდა გადაიხადოს. ორგანიზაციის დაფუძნების შემდგომ, მათ მიერ შემუშავდება იმერეთის მხარის ერთიანი ტურისტული მარშრუტი, რაც მხარეში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

თუ ვინ იქნება ა(ა)იპ „იმერეთის ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაციაში“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, ჯერჯერობით უცნობია.

თამარ მაღრაძე

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას დამატებითი ფართი გადაეცა

4 თებერვალს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის ფართის გადაცემის საკითხზე იმსჯელეს. საკითხი ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ წარადგინა. მომხსენებლის ინფორმაციით, მერია ითხოვს თანხმობას სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის სოფელ სარგვეშის საჯარო სკოლის პირველ სართულზე მდებარე 63.84 კვ.მ. ფართის სკოლამდელი მზაობის ჯგუფის ფუნქციონირებისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით სამი წლის ვადით გადასაცემად.

როგორც ბერაძე განმარტავს, გასული წლის 25 ივლისს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ხარაგაულის მერიას სამი წლით გადაეცა ზემოხსენებული ფართი საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის იმ პირობით, თუ აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ მოხდება სარგებლობის უფლების მოშლა და ამავე ვადაში მოსარგებლის მიერ დაკავებული ფართის დაცლა, ასევე სკოლაში ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას.

საკითხის გაცნობის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსს მიუთითა, რომ საკრებულოზე საკითხი დაგვიანებითაა წარდგენილი, რის გამოც კანონი დაირღვა. „საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლო გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით. მზაობის ჯგუფი სკოლის შენობაში ფუნქციონირებდა აღმასრულებელი ორგანოს მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე და ხელფასები ხუთი თვის განმავლობაში უკანონოდ იცემოდა.“- განმარტა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ.

საბოლოოდ, დეპუტატთა გადაწყვეტილებით, სარგვეშის საჯარო სკოლის პირველ სართულზე მდებარე 63.84 კვ.მ ფართი, ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას სამი წლით უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაეცა.

თამარ მაღრაძე

საკრებულომ შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიში უარყოფითად შეაფასა

4 თებერვალს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე დეპუტატებმა მერიის მიერ 2018 წლის შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიში განიხილა. საკითხი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა ზურაბ იჩქიტიძემ წარადგინა. მომხსენებლის თქმით, შესყიდვების განყოფილება უშუალოდ არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების სწორად განხორციელებას, სატენდერო დოკუმენტაციის პროექტების, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმების, ინტერესთა კონფლიქტის, ხელშეკრულების, ურთიერთშეთანხმების აქტის, მიმწოდებლებთან გადასაგზავნი წერილების, სამართლებრივი აქტისა და სხვადასხვა სახის საჭირო დოკუმენტაციის პროექტების მომზადებას.

ზურაბ იჩქიტიძის ინფორმაციით, მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადებულია 112 სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი. 2 ტენდერი შეწყდა, ხოლო 12 მათგანი უარყოფითად დასრულდა. ტექნიკური დოკუმენტაციის გამო ვერ შედგა 33 ტენდერი, ერთს კი შერჩევა/შეფასების სტატუსი აქვს.

საკითხის გაცნობის შემდეგ დეპუტატებმა საკუთარი პოზიციები დააფიქსირეს. განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძემ ყურადღება ზარან-საღანძილის დამაკავშირებელ ბოგირზე გაამახვილა. მისი თქმით, ბოგირი 2017 წლის შემოდგომაზე მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანდა და მოსახლეობას გადაადგილება უჭირს. „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო პროექტის შესყიდვაზე ტენდერი ექვსჯერ ჩავარდა. კომისიამ ამდენი ჩაშლილი ტენდერის შემდეგ რა შეცვალა? სტიქიის სალიკვიდაციოდ თანხების გამოყოფა დროულად მოხდა და საკითხი დაჩქარებული წესით უნდა მოგვარებულიყო. შეგეძლოთ ეს პროექტი ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შეგესყიდათ,“ - აღნიშნა საღანძილის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

„როდესაც ახალ ტენდერს ვაცხადებდით, ეტაპობრივად ვზრდიდით თანხებს პროექტის შესაძენად. კანონმდებლობის შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების შემთხვევაში სხვა რეგულაციები მოქმედებს. ამ შემთხვევაში გაფორმებული ხელშეკრულებისას მეწარმე ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტაციას ვერ წარმოგვიდგენს, კანონმდებლობას ეწინააღმდეგება და ვერ განვახორციელებთ თანხის ჩარიცხვას. მეწარმეს ურჩევნია, ტენდერში მონაწილეობა მიიღოს“, -განმარტა ზურაბ იჩქიტიძემ.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა სხდომაზე შესყიდვების გეგმის ანგარიშის შესახებ კომისიის დასკვნა წარადგინა. დასკვნაში, ძირითადად, საუბარი იყო კომისიის ფორმატში დასმულ კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა არშემდგარ ტენდერებს, ხელშეკრულებაში ხშირ ცვლილებებს, ტექნიკურ ხარვეზებსა და სხვა. ვარლამ ჭიპაშვილი ამბობს, რომ 2017 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყო თანხები. ამის მიუხედავად, მერიას ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხელშეკრულების დადების საკითხზე შესყიდვების სააგენტოსათვის დროული მიმართვა დაავიწყდა. „იყო დაპირება, რომ დეკემბრის ბოლოს ყველა პრობლემა მოგვარდებოდა და პროექტები დასრულდებოდა. ახლა საუბარია, რომ თებერვლის ბოლოს დასრულდება, მაგრამ როგორ? მეწარმეებს სამუშაოები არ განუახლებიათ. გასულ წელს პროექტების გადავადება სხვადასხვა მიზეზის გამო არაერთხელ მოხდა. აქედან გამომდინარე, 2018 წელს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული შესყიდვების შედეგებს უარყოფითად ვაფასებ,“- აღნიშნა საკუთარ გამოსვლაში ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

როგორც შესყიდვების განყოფილების უფროსი ზურაბ იჩქიტიძე განმარტავს, არშემდგარი ტენდერების მიზეზი არა დოკუმენტაციის მომზადებაში, არამედ ფასებშია. „საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისთვის აუცილებელია დამპროექტებლის მიერ გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევების ჩატარება. ეს კი დამპროექტებელ ორგანიზაციას ხარჯებს უზრდის. როდესაც პირგასამტეხლოს დაკისრების შემდეგ მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა, მეწარმის „შავ სიაში“ შეყვანა ვთხოვეთ. ამ პერიოდში კი იმავე მეწარმემ სხვა ტენდერი მოიგო, მიუხედავად მისი არაკეთილსინდისიერებისა, მეწარმისათვის უარის თქმის საფუძველი არ გვქონდა.“ - განმარტა ზურაბ იჩქიტიძემ.

საბოლოოდ, საკრებულომ შესყიდვების გეგმის შესაბამისად განხორციელებული შესყიდვების ანგარიში უარყოფითად შეაფასა.

თამარ მაღრაძე

ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი გრძელდება

რამდენიმე წელია, რაც კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საჯარო და კერძო სკოლებისათვის ატარებს კონკურსს ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, რომ ამ წლების განმავლობაში პროექტში ათასამდე სკოლა და ასზე მეტი პარტნიორი ორგანიზაცია ჩაერთო. ეს არის ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი კონკურსი, რომელშიც მოსწავლეებსა და პედაგოგებს, რომელთაც აქვთ საინტერესო იდეები, გუნდური მუშაობისა და ლიდერის უნარები, საკუთარი თავის წარმოჩენის, განვითარების, საკუთარ სოფელზე, ქალაქსა და ქვეყანაზე ზრუნვის შესაძლებლობა მიეცათ.

კონკურსის ფარგლებში ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში კონფერენცია გაიმართა. საუბარი იყო მონაწილეთა მიერ განვლილ ტრენინგებზე, მათ ასევე გაგვიზიარეს შეხედულებები „ნიკო კეცხოველის გზის“ გავლის შესახებ. ყურადღება კი სამომავლო გეგმებზე გაამახვილეს.

აღსანიშნავია, რომ კონკურსის პირველი ეტაპი 30 იანვარს დასრულდა. ნახევარფინალში გამარჯვებული გუნდების ვინაობა 4 თებერვალს გახდა ცნობილი. იმერეთიდან ნახევარფინალში 32 გუნდი გადავიდა, რომელთაგან რვა ხარაგაულიდანაა. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალში გადავიდნენ ის გუნდები, რომელთაც აქტივობების მიხედვით ყველაზე მაღალი ქულები დააგროვეს.

საბოლოოდ, ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიის მოსაპოვებლად, კონკურსის ფინალი 21 მარტს, ტყის საერთაშორისო დღეს, ჩატარდება. ფინალში გადამსვლელ გუნდებს კი განათლებისა და გარემოს დაცვის სამინისტროების წარმომადგენელთაგან სპეციალურად შერჩეული ჟიური გამოავლენს. ფინალამდე გუნდებს გასავლელი აქვთ ეკოსპიკერისა და პრეზენტაციის ეტაპები. ნახევარფინალი კი იმერეთისა და რაჭის რეგიონების სკოლებისათვის 24 თებერვალს ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ნიკო კეცხოველი იყო ქართველი ბოტანიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ბოტანიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, წლების განმავლობაში თსუ-ის ერთ-ერთი გამორჩეული რექტორი.

თამარ მაღრაძე

ბიუროს სხდომაზე საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელს

7 თებერვალს გამართულ ბიუროს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს, რომელიც მათ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვლადიმერ გელაშვილმა გააცნო. როგორც მოხსენებით ბარათიდან ირკვევა, მუნიციპალიტეტს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 200 000 ლარი გამოეყო, მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის - 108 743 ლარი. გარდა ამისა, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელი პროექტებისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა 430 000 ლარი მიიღო. 2019 წლის ბიუჯეტში არსებული ნაშთიდან, წინა წლებში (2015-2018) აღებული ვალდებულებების შესასრულებლად 462 505 ლარი მიიმართა, რომელიც გზებისა და ხიდ-ბოგირების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება.

სხდომაზე ასევე საუბარი იყო საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთზე, რომლის გადანაწილებას მერია ასე აპირებს:

289 700 ლარი-მიმდინარე წელს დაგეგმილი გზების რეაბილიტაციის ხარჯებში, მონიტორინგის ჯგუფის ანაზღაურებისათვის;

7 300 ლარი - ხიდ-ბოგირების აშენება- შეკეთებისათვის;

60 000 ლარი - სოფელ ანეულაში ახალი სარიტუალო დარბაზის ასაშენებლად;

4 000 ლარი - დასრულებული სარიტუალო სახლების ელექტროკვანძზე დასაერთებლად;

43 000 ლარი- მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის შესაძენად;

1000 ლარი-ავტომატიზებული სისტემის მომსახურებისათვის;

5 500 ლარი- ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ სუბსიდირებაში, სახალხო თეატრში მსახიობის შტატის დამატების გამო.

ფრაქციის „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე თორნიკე ავალიშვილი მიიჩნევს, რომ მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის შესაძენად გათვალისწინებული თანხა-43 000 ლარი სოციალურ მიმართულებებზე უნდა გაიხარჯოს. ასევე აღნიშნავს, რომ მონიტორინგის ჯგუფის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი 289 700 ლარი ზედმეტ ხარჯად აწევს მუნიციპალიტეტს, ვინაიდან, პროექტები რეალურად არ სრულდება და შესრულების ხარისხზე საუბარი ზედმეტია. თორნიკე ავალიშვილმა ასევე გააპროტესტა ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის„ 5 500 ლარით სუბსიდირების საკითხი. მისი განმარტებით, გასულ წელს აღნიშნულ ორგანიზაციაში შტატები შემცირდა და თუ ერთი შტატის აუცილებლობა იყო, დირექტორს თავიდანვე უნდა გაეთვალისწინებინა.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაციით, მთავრობის გადაწყვეტილებით კეთდება კონსოლიდირებული ბიუჯეტი და მუნიციპალიტეტებს დაგვევალა, მაღალი გამავლობის ავტომობილის შესაძენად გაგვეთვალისწინებინა თანხები, ხოლო ავტომობილები, რომელთა შეკეთება დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, უნდა გაიყიდოს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, საბიუჯეტო ცვლილება დასაბუთებული არაა და როდესაც საუბარია 43 ათას ლარად ავტომობილის შეძენაზე, წარმოდგენილი უნდა იყოს მთავრობის მომართვა.

„გამოდის, რომ მუნიციპალიტეტის მერს, რომლის მუშაობაც უარყოფითად ფასდება და მუნიციპალიტეტში პროექტები არ სრულდება, 43 ათას ლარად მაღალი გამავლობის ტექნიკა უნდა შევუძინოთ. იმ ფონზე, როდესაც სოციალური მდგომარეობა მუნიციპალიტეტში არცთუ ისე სახარბიელოა, ეს გადაწყვეტილება ფინანსურად არ იქნება გამართლებული და ეს პოლიტიკურად უდიდესი შეცდომაა,“- განაცხადა დეპუტატმა.

სხდომაზე განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე დავით კიკნაძემ ყურადღება გაამახვილა საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილ ტრანსფერზე. დეპუტატი დაინტერესდა აღნიშნულ თანხაში რომელი სკოლების რეაბილიტაცია მოხდება.

დაუჭერენ თუ არა დეპუტატები მხარს წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას, 11 თებერვალს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე გახდება ცნობილი.

ყურადღება, აუქციონი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის მიზნით, ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა. კერძოდ: სოფელ ლახუნდარაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction.ge; აუქციონი 26 თებერვალს დასრულდება. აუქციონი გამოცხადდა ასევე შემდეგი ქონების პრივატიზებისა და იჯარით გაცემის მიზნით:

სოფელ საღანძილეში - რკინის მილები, გასაყიდი ობიექტის საერთო სიგრძე - 286 მეტრი;

სოფელ უბისაში- სარიტუალო დარბაზი (იჯარა).

განცხადება

„ახალი ხარაგაულის“ (N393(1) გამოქვეყნებულ სტატიაში „ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად რეგიონული განვითარების ფონდიდან პირველ ეტაპზე 3 670 000 ლარი გამოეყო“ გაიპარა ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ: სოფელ ბორითის ნაცვლად უნდა ეწეროს სოფელი ხორითი.

სამძიმარი

ა(ა) იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის„ თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამარ მაღრაძეს საყვარელი მამის

შალვა (ბაჭო) მაღრაძის

გარდაცვალების გამო.

უფალმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მის ღამაზ სულს.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორის: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12